

ბავშვის უფლებები და
ქურნალისტური პრაქტიკა –
უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

სახელმწიფო პედაგოგებისათვის

ბავშვის

უფლებები უფლებების
დაცვა

და ქურნალისტური

პრაქტიკა –
ბავშვთა პარლამენტები

უფლებებზე

დაფუძნებული რას უნდა მოიცავდეს კოდექსი?

პრესის თავისუფლება მიდგომა

unite for
children

unicef 

**ბავშვის უფლებები და
ქურნალისტური პრაქტიკა —
უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა**

სახელმძღვანელო კვლავიწმინდისათვის

2011 წელი

სასწავლო კურსი მომზადდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის იუნისეფის რეგიონული ოფისის დაკვეთით

© გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) - დუბლინის ტექნოლოგიის ინსტიტუტი, 2007 წ.

© ქართული თარგმანი და გამოცემა, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, 2011 წ.

სახელმძღვანელოს ქართული ვარიანტის შემუშავებასა და ადაპტაციაში მონაწილეობდნენ: დავით პაიჭაძე, ილიას სახელობის უნივერსიტეტი; მარინე ვაშაყმაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მაია მიქაშავიძე, ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა; ნათია კალაძე, საქართველოს უნივერსიტეტი; მაია ქურციკიძე, გაეროს ბავშვთა ფონდი.

სარჩევნი

მოდულის შესავალი.....	5
სწავლების მეთოდები	6
კვლევითი პრინციპები.....	6
შედეგები და მიზნები.....	12
მეთოდოლოგიები	14
სწავლების შერეული მეთოდი.....	20
შეფასება	23
მოდულის სტრუქტურა	31
ცალკეულ თავთან დაკავშირებული შენიშვნები მასწავლებლებისათვის.....	33

მოდულის შესავალი

ამ სასწავლო კურსის თეორია და პრაქტიკა ისეა შერწყმული, რომ კურსის დასრულებით ჟურნალისტიკის შემსწავლელი სტუდენტები მარტო ბავშვის უფლებათა სფეროს მნიშვნელოვანი ასპექტების გაშუქების უნარ-ჩვევებს კი არ განივითარებენ, არამედ შეძლებენ გაიაზრონ ამ სფეროს გაშუქების პრაქტიკა და კრიტიკულად შეაფასონ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე მთელ მსოფლიოში. ავტორები ასევე იმედოვნებენ, რომ ამ მოდულით მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები სხვებზეც გავრცელდება. სტუდენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ამ კურსს, მიიღებენ სრულყოფილ ცოდნას უფლებებისა და ეთიკის სფეროებში, ეცოდინებათ, როგორ მოეკიდონ წყაროებს, ახალ ამბებს და როგორ მოამზადონ მასალა თანაგრძნობით, თუმცა გაითვალისწინონ საზოგადოების უფლება – მიიღოს ინფორმაცია, და გაითვითცნობიერონ, სად გადის ზღვარი ინფორმირებასა და თანაგრძნობას შორის. სტუდენტებმა უნდა განიხილონ და გააანალიზონ, როდისა აქვს ჟურნალისტს მასალის გამოქვეყნების უფლება, მაგრამ, ამავე დროს, პასუხისმგებლობაც, არ გამოაქვეყნოს იგი, ანდა როდის გადადის დელიკატურობა თვითცენზურაში.

სახელმძღვანელოში მოცემული მასალის გამოყენება ბევრნაირად შეიძლება. ლექტორებმა შეიძლება მასალა სტუდენტებს მისცენ მეცადინეობაზე წასაკითხად დისკუსიისა და დებატების ხელშესაწყობად, დაურიგონ რედაქტირებული ვარიანტი ან გამოიყენონ მეცადინეობაზე ჩანაწერების სახით.

სასწავლო კურსი საკმაოდ მოქნილია და ლექტორები, რომლებიც ამ კურსს სტუდენტებთან გაივლიან, ადვილად შეძლებენ მის მორგებას სწავლების შემუშავებულ მეთოდებზე. თუმცა სწავლის შედეგებისა და მიზნების წარმატებით მიღწევა დამოკიდებულია იმ პედაგოგიურ პრინციპებსა და მეთოდოლოგიებზე, რომლებიც სწავლების ნებისმიერი მეთოდის საფუძველს ქმნის. მომდევნო თავი, რომელიც სწავლების მეთოდებს ეხება, დაგეხმარებათ ამ მოდულის სწავლების ფორმისა და მიდგომის შემუშავებაში და კურსის წარმართვაში.

სწავლების მეთოდები

მოდული „ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა — უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“ ეფუძნება ორ ცნობილ პედაგოგიურ პრინციპს: სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და განათლებას ადამიანის უფლებების სფეროში. ორივე ეს პრინციპი მოიცავს მკაფიო, თუმცა დამხმარე თეორიებს, მიზნებსა და პედაგოგიურ მეთოდოლოგიებს, რომლებიც მომდევნო თავებშია აღწერილი. მასალის მიწოდებისას ლექტორებს შეუძლიათ ამ თავებით იხელმძღვანელონ ანდა მოცემული მაგალითები გარკვეულწილად შეცვალონ და საკუთარ მიდგომას მოარგონ.

მაშინ, როდესაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპი ავტონომიისა და პასუხისმგებლობის გრძნობას უფითარებს სწავლაში აქტიურად და ღრმად ჩართულ სტუდენტებს, ადამიანის უფლებების სფეროში განათლების პრინციპი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს იყენებს მისსავე მეთოდოლოგიაში, რომელიც თანამონაწილეობას ემყარება და, ასევე, ხელს უწყობს ფასეულობების ჩამოყალიბებას სტუდენტებში და სტუდენტების აქტიურობას უფლებების დაცვის საქმეში. ამრიგად, სწავლების მეთოდიკა ჟურნალისტულში, ბავშვის უფლებათა დაცვის კონტექსტში, ისეთივე მნიშვნელობას იძენს, როგორც თავად სასწავლო მასალა.

კვლევითი პრინციპები

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება

მაშინ, როდესაც მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია ფოკუსირებულია მასწავლებელზე, რომელიც ექსპერტის ცოდნას ახალბედას გადასცემს, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ფოკუსირებულია სტუდენტზე, რომელმაც თავად უნდა იმოქმედოს განათლების მისაღებად. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემთხვევაში თავად სტუდენტები არიან ცოდნის შემქმნელები, ხოლო მასწავლებელი ან ლექტორი სწავლის პროცესის ფასილიტატორია და არა ინფორმაციის მიმწოდებელი. ამ როლში ფასილიტატორი ლიდერია, ავტორიტეტული ფიგურა, რომელიც თავადაც და სხვებთან ურთიერთობიდან გამომდინარეც დარწმუნებულია, რომ სხვებს აქვთ უნარი, იაზროვნონ და ისწავლონ.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ზრდის შემსწავლელთა პასუხისმგებლობას საკუთარი განათლების მიმართ. ამ სტრატეგიით სტუდენტი ერთეულად გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, სწავლობს ქმედების გზით და არა უბრალოდ მოსმენის და ისეთი დავალებების შესრულებისა, რომლებიც ხშირად კონტექსტიდანაა ამოვარდნილი და ამიტომ სტუდენტის „რეალობისგან“ შორს დგას. რადგან სწავლის პროცესი უფრო აქტიურია (ვიდრე მასწავლებლის პასიური სმენა), მასალის დამახსოვრება უფრო ადვილი ხდება; ვინაიდან სწავლის პროცესი ინდივიდუალურ მიდგომას გულისხმობს და უკავშირდება სტუდენტების ცხოვრებასა და გამოცდილებას, ეს სტრატეგია „აცოცხლებს“ მასალას და მას რეალურ ცხოვრებასთან შესაბამისს ხდის.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიის დამახასიათებელი თვისებებია:

- დამოკიდებულება აქტიურ სწავლაზე და არა პასიურზე,
- ფოკუსირება სიღმისეულ სწავლასა და გააზრებაზე,
- სტუდენტების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლება,
- მოსწავლეებში ავტონომიურობის განცდის გაძლიერება,
- მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულება,
- ურთიერთპატივისცემა მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში,
- და რეფლექსიური მიდგომა სწავლების და სწავლის პროცესებისადმი, როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის მხრიდან.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მოსწავლე სრულად არის პასუხისმგებელი საკუთარი განათლების მიღების პროცესზე;
- განათლების მისაღებად აუცილებელია პროცესში ჩართვა და მონაწილეობის მიღება;
- შემსწავლელთა შორის ურთიერთობა უფრო თანასწორია, რაც ხელს უწყობს ზრდასა და განვითარებას;
- მასწავლებელი ხდება ფასილიტატორი და კონსულტანტი;
- მოსწავლის განათლებაში ხდება სხვადასხვა ელემენტის შერწყმა (ემოციური და შემეცნებითი ველების ერთიანობა).

(O'Neill & McMahon, 2005)

განათლება ადამიანის უფლებების სფეროში

განათლება ადამიანის უფლებების სფეროში შეიძლება განისაზღვროს, როგორც განათლება, ტრენინგი და ინფორმაცია, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურის ჩამოყალიბებას ცოდნის გაზიარების, უნარ-ჩვევების გადაცემის და მიდგომების ფორმირების გზით და იგი მიმართულია:

- ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის გაძლიერებისაკენ;
- პიროვნების სრულყოფილი განვითარებისა და ღირსების განცდის ჩამოყალიბებისაკენ;
- ურთიერთგაგების, ტოლერანტობის, სქესობრივი თანასწორობის დამკვიდრებისა და ერებს, მკვიდრ ხალხებს, რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს შორის მეგობრობის ხელშეწყობისაკენ;
- ყველა ადამიანის უზრუნველყოფისაკენ შესაძლებლობით, ქმედითი მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელშიც დაცულია კანონის უზენაესობა;
- მშვიდობის მშენებლობისა და შენარჩუნებისაკენ;
- ადამიანზე ორიენტირებული სტაბილური განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობისაკენ.

განათლება ადამიანის უფლებების სფეროში მოიცავს:

- ცოდნასა და უნარ-ჩვევებს — ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ცოდნის მიღებას, ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი გამოყენების უნარ-ჩვევების შექმნას;
- ფასეულობებს, დამოკიდებულებასა და ქცევას — ისეთი ფასეულობების, დამოკიდებულებებისა და ქცევის განვითარებას, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას;
- მოქმედებას — მოქმედებას ადამიანის უფლებების დაცვისა და პოპულარიზებისათვის.

(„იუნესკო“, 2005)

რა კავშირია ბავშვის უფლებებსა და ადამიანის უფლებებს შორის

ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელსაც ბავშვობის ასაკი თითოეულ ბავშვს ანიჭებს, აუცილებელს ხდის ბავშვებისადმი საგანგებო ყურადღებას, მზრუნველობასა და დანხარებას. ბავშვებთან მიმართებით ადამიანის უფლებათა განმარტება და რეალიზება სწორედ ბავშვების თავისებურებებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. ეს ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, ბავშვთა უფლებები ადამიანის უფლებებია, თუმცა იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელშიც ბავშვები იმყოფებიან (Yeban, 1999).

უფლებებზე დაფუძნებული განათლებისთვის, იქნება ეს განათლება ბავშვის თუ ადამიანის უფლებების შესახებ, ისეთი შესაფერისი მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს, რომლითაც თავისთავად სწავლის პროცესი გადაიქცევა გზავნილად. ძაფი, რომელიც აკავშირებს ტრანსფორმირებადი განათლების ამ ორ განსხვავებულ ფორმას, არის რწმენა თითოეული ადამიანის ღირსებასა და კეთილდღეობაში. აქედან გამომდინარე, ინდივიდი, იქნება ეს ბავშვი თუ ზრდასრული, სწავლების პროცესში ცენტრალურ ადგილს იკავებს (Yeban, 1999).

ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი ბავშვის უფლებების სფეროში განათლებისათვის რეკომენდებული მეთოდი თანამონაწილეობითი პედაგოგიკაა, რომელიც ქვემოთ განსაზღვრულ პრინციპებს ეფუძნება და რომელსაც ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი უჭერს მხარს. თანამონაწილეობითი მეთოდოლოგია მოიცავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და ადამიანის უფლებების სფეროში განათლების იმ ასპექტებს, რომლებიც ფასეულობების ფორმირებასა და აქტიურ მოქმედებას ეხება:

1. **გამოცდილებასა და აქტივობაზე ორიენტირებული პრინციპი:** მკაფიოდ უნდა განიმარტოს, რომ შესწავლის საგანი მოსწავლის ობიექტური პირობების და ამ პირობებში ადამიანის უფლებების რეალიზების სწორად გაგებაა. უნდა დადგინდეს ცოდნის ის დონე, რომელიც სტუდენტს უკვე აქვს, როგორც ბაზისი შემდგომი დისკუსიისთვის. სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობები ისე უნდა შემუშავდეს, რომ ეს ცოდნა გამოვლინდეს. ეს ნიშნავს, რომ აქტივობებმა სტუდენტებს საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა და ცოდნის გამოხატვის შესაძლებლობა უნდა მისცეს.

2. **პრობლემის გამოვლენა:** ფასილიტატორმა უნდა შეამოწმოს მოსწავლის ადრინდელი ცოდნა ისეთი კითხვების დასმით, რომლებიც მიმართული იქნება სტუდენტის პასუხებში შეუსაბამოების ან არათანმიმდევრულობის გამოვლენისაკენ. ასეთი პროცესი ხელს შეუწყობს სტუდენტს, გაიაზროს საკუთარი მოსაზრებები და უზიდავს მას, შეიცვალოს აზროვნების მოდელი ისე, რომ ლოგიკურად უფრო შესაბამისი და ემპირიულად თანმიმდევრული გახდეს.
3. **თანამონაწილეობითი პრინციპი:** ამ ტექნიკამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ კოლექტიურად მოხდეს კონცეფციების განმარტება, თემების გაანალიზება და აქტივობების განხორციელება. სხვების გამოცდილების გაცნობა სტუდენტებისათვის ერთ-ერთი გზაა, რომლითაც ადამიანის გამოცდილება და ცოდნა შეიძლება გაფართოვდეს, დადასტურდეს ან უარყოფილ იქნეს.
4. **დიალექტიკური პრინციპი:** მოსწავლეთა არსებული ცოდნის მხოლოდ გამოვლენა არ არის საკმარისი (თეზისი). მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეადარებინოთ მათ საკუთარი ცოდნა სხვა წყაროებიდან მიღებულ ისეთ ცოდნას, როგორცაა ფაქტები, მონაცემები, სტატისტიკა და სხვ. (ანტითეზა) და გააკეთებინოთ შედეგად მიღებული იდეის (იდეების) სინთეზი. ის, რომ აქ მონაწილეთა მიერ ინტერპრეტირებული საკუთარი გამოცდილება ცოდნის სანდო წყაროებად არის მიჩნეული, არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი სუბიექტურად სწორია. მოსწავლეთა ცოდნა/გამოცდილება, უცვლელი ფორმით, ისევე შეზღუდულია, როგორც ერუდიტის „გაქვავებული“ ცოდნა. უნდა მოხდეს ამ ცოდნის/გამოცდილების შედარება სხვა ადამიანების მსგავსი კონტექსტების ინტერპრეტაციასა და გაგებასთან.
5. **ანალიტიკური პრინციპი:** მნიშვნელოვანია, ფასილიტატორმა და თავად სტუდენტებმა განსაზღვრონ ის თემები, რომლებიც სტუდენტთა პასუხებიდან გამომდინარე ჩნდება, და ის საბაზისო პრინციპები, რომლებიც ამ თემებს აერთიანებს. ფასილიტატორმა უნდა დასვას კითხვები „რატომ“ და „როგორ“. ასეთი კითხვები დააფიქრებს სტუდენტებს, რატომ არის ასე და როგორ მოხდა ეს. სტუდენტებს ასევე უნდა დაუსვათ კითხვები მოვლენებს შორის ურთიერთკავშირისა და მათი ურთიერთზემოქმედების შესახებ. ეს ის კითხვებია, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება, დაინახონ ის, რაც ხილულს მიღმაა.

6. **გამაჯანსაღებელი პრინციპი:** ადამიანის უფლებების დამკვიდრებას ხელს ვერ შეუწყობთ, თუ ჩვენ თვითონ არ ვსარგებლობთ ამ უფლებებით, არ ვიყენებთ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. თანმიმდევრულობის დაცვა, როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძნელია, მაგრამ არ არის შეუძლებელი. ჩვენი გამოცდილების ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური და სტრუქტურული სფეროები ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთზე ზემოქმედებს. ჩვენ ეს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. ადამიანის უფლებების პედაგოგიკა გვათავისუფლებს, გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ, შევიგრძნოთ, გავიაზროთ, ვიმოქმედოთ და სტიმული მივცეთ საკუთარ თავსაც და სხვებსაც. ჩვენ პირადად ვართ ანგარიშვალდებულნი საკუთარი კეთილდღეობის წინაშე. პედაგოგიკა ადამიანის უფლებების სფეროში საშუალებას გვაძლევს, გავიუმჯობესოთ კეთილდღეობა.
7. **სტრატეგიულ აზროვნებაზე ორიენტირებული პრინციპი:** კრიტიკულობა და ანალიტიკურობა არ არის საკმარისი პირობა საზოგადოების ტრანსფორმირებისათვის. ადამიანის უფლებების პედაგოგიკამ ადამიანებს უნდა უზიძგოს, დაისახონ საკუთარი მიზნები და მუდმივად იფიქრონ ამ მიზნების მისაღწევ შემოქმედებით და სტრატეგიულ გზებზე. ადამიანის უფლებების რეალობად გადაქცევისათვის ახალი მეთოდებით ექსპერიმენტირებაა საჭირო. მიუხედავად მრავალი უკიდურესად რთული სიტუაციისა, რომლებიც ჩვენ შორის საუკეთესოებსაც კი ართმევს ძალას, ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებამ უნდა დაარწმუნოს ხალხი, რომ უამრავი შესაძლებლობა არსებობს. ხალხს ახალი ტიპის აზროვნება სჭირდება იმისათვის, რომ ეს უფლებები გამოიყენოს.
8. **მიზანსა და ქმედებაზე ორიენტირებული პრინციპი:** ადამიანის უფლებები პრაქტიკული ვარჯიშია. იგი მოითხოვს ქმედების, დაფიქრების, ქმედების, დაფიქრების და ა.შ. ციკლს. ადამიანის უფლებები ერთ დღეში კი არა, არამედ დროთა განმავლობაში მიიღწევა. ადამიანის უფლებების პედაგოგიკა უნდა ასწავლიდეს ადამიანებს, როგორ გახადონ საკუთარი მიზნები უფრო კონკრეტული და მიღწევადი. იგი ასევე საშუალებას უნდა აძლევდეს ადამიანებს, დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ თავის ქმედებებს იმ მიზნებზე დაყრდნობით, რომლებიც დაისახეს. მოთმინება, პოზიტიური აზროვნება და მიზანმიმართულება ის ფასეულობებია, რომლებიც ადამიანის უფლებათა პედაგოგიკაში ძვეს.

შედეგები და მიზნები

ამ მოდულში სასწავლო პროგრამისადმი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის გამოყენება (ეს მიდგომა სულ უფრო ხშირად გამოიყენება მსოფლიოში სასწავლო კურსების შემუშავებისას) გულისხმობს სწავლის ისეთი შედეგების ან მიზნების განერას, რომლებიც ფოკუსირებული იქნება არა იმაზე, თუ რა მასალა უნდა მიანოდოს მასწავლებელმა სტუდენტებს, არამედ იმაზე, თუ რის გაკეთება უნდა შეძლონ სტუდენტებმა. ასეთი პრაქტიკით აქცენტი გადადის მასწავლებლის მიერ მისაწოდებელი მასალიდან მოსწავლეზე. ეს ნიშნავს პროცესსა და კომპეტენციაზე კონცენტრირებას და არა მასალაზე.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგები: რამდენიმე მაგალითი	ტრადიციული სწავლების შედეგები/მიზნები
ამ მოდულის დასრულებისას თქვენ (სტუდენტს) შეგეძლება:	სასწავლო კურსი მოიცავს:
განსაზღვრეთ ბავშვთა უფლების ძირითადი მახასიათებლები გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში;	გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
კრიტიკულად შეაფასოთ ქცევის კოდექსები და სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპები.	სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპებს და ქცევის კოდექსებს.

წყარო: ადაპტირებულია: ო'ნილი და მაკ-მაჰონი, 2005 წ. (O'Neill & McMahon, 2005)

სწავლის შედეგები

მოდულის „ბავშვის უფლებები და ყურნალისტური პრაქტიკა — უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“ დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლება:

- გაიგონ და მოკლედ ჩამოაყალიბონ ბავშვთა უფლებების ძირითადი მახასიათებლები, როგორც ეს ჩამოყალიბებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში;

- უფლებების დაცვის კუთხით ნაიკითხონ, გაანალიზონ და კრიტიკულად შეაფასონ, თუ როგორ შექმდება ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები;
- კრიტიკულად შეაფასონ სარედაქციო პრინციპების და ქცევის კოდექსების შესაბამისობა და მნიშვნელობა ბავშვების შესახებ ახალი ამბების გადმოცემასთან მიმართებით;
- პროფესიულად შეაფასონ ჟურნალისტური პრაქტიკა ბავშვის უფლებების დაცვის თვალსაზრისით;
- გააშუქონ სამართლიანად, ზუსტად და ბავშვის უფლებათა პრინციპების შესაბამისად.

განათლების მიზნები ბავშვის უფლებათა სფეროში

ბავშვის უფლებების შესახებ განათლება უნდა ეფუძნებოდეს სწავლის სამ მიზანს:

- ცოდნა და უნარ-ჩვევები — ბავშვის უფლებებისა და ჰუმანური სტანდარტების შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის მიღება და ამ ცოდნის გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შექმნა;
- ფასეულობები, დამოკიდებულება და ქცევა — მეტი თანაგრძნობის გამოვლენა და ნეგატიური მიდგომების შეცვლა ან პოზიტიური მიდგომებისა და ქცევის გამყარება ბავშვის უფლებებთან მიმართებით;
- ქმედება — მოქმედება ბავშვთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისათვის პროფესიული საქმიანობის შესრულებისას.
(ადაპტირებულია: „იუნესკო“ 2005)

უფლებებზე დაფუძნებული ამ მოდულის ფასილიტაცია და იმის ხელშეწყობა, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ დასახულ მიზნებს გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის პრინციპის, თანამონაწილეობითი მეთოდოლოგიისა და უფლებების სფეროში განათლების ტრანსფორმირებადი კომპონენტის გამოყენებას. მოსალოდნელია შემდეგი ცვლილებები:

- ქცევის ცვლილება ბავშვებისა და ბავშვობის შესახებ იმ მოსაზრებების გათვითცნობიერების გზით, რომლებიც ადრე გაუთვითცნობიერებელი იყო. ცვლილება პროცესია, რომელიც იწყება არსებულ სიტუაციასთან კონფლიქტის აღიარებით და არა „ექსპერტისგან“ ახალი იდეის გაგებით. ეს გულისხმობს იმის გათვითცნობიერებას, რომ არსებული ქცევა არ შეესაბამება ბავშვის უფლებების პრინციპებს.
- კულტურული ცვლილება პიროვნული ცვლილების გზით. პიროვნული ცვლილება მხოლოდ ქცევაში ცვლილებას არ გულისხმობს, ვინაიდან იგი კულტურის კონტექსტში ჩნდება. იგი მოითხოვს ცვლილებას ადამიანის ურთიერთობაში სწორედ კულტურული ცვლილებების კონტექსტში. ამას შეიძლება შედეგად ბავშვების შესახებ საზოგადოების ტრადიციულ შეხედულებებთან წინააღმდეგობაში მოსვლა მოჰყვეს. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ პიროვნულ ცვლილებას, როგორც ბავშვებში, ისე ზრდასრულებში ადგილობრივი კულტურა განამტკიცებდეს.
- სტრუქტურული ცვლილება ისეთი მექანიზმებისა და საშუალებების შექმნის გზით, რომლებიც ახდენენ ბავშვის უფლებების ხელშეწყობის პერსონალური და კულტურული ცვლილებების ინსტიტუციონალიზებას.

(Yeban, 2002)

მეთოდოლოგია

ლექტორებმა ისეთი სტრატეგიები უნდა გამოიყენონ, რომლებიც უზიდავს სტუდენტებს, გააქტიურდენ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნაში. ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების ნიმუში და რამდენიმე იდეა ლექტორებისათვის, როგორც სალექციო (უფრო მასწავლებელზე ორიენტირებული), ასევე არასალექციო ფორმატისთვის. თუმცა ლექტორებმა უნდა იხრუნონ, სადაც კი ეს შესაძლებელია, სალექციო საათების შემცირებაზე სტუდენტზე ორიენტირებული ფორმატების სასარგებლოდ.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების მაგალითები

არასალექციო ფორმატი	ლექცია
დამოუკიდებელი პროექტები	სადისკუსიო ჯგუფები (მოკლე დისკუსიები ორკაციან ჯგუფებში)
ჯგუფური დისკუსია	პირამიდის/თოვლის გუნდის ეფექტი (ჯგუფებად დაყოფა ანბანის/ნომრების მიხედვით და დისკუსია)
თანაკურსელების მიერ სხვა სტუდენტებისთვის რჩევების მიცემა	შერეული ჯგუფები (სტუდენტების შერევა ჯგუფებში ანბანის/ნომრების მიხედვით)
დებატები	მრგვალი მაგიდა (ყველა სტუდენტი რიგრიგობით ლაპარაკობს)
საველე ვიზიტები	ტესტები
პრაქტიკული მეცადინეობა	სწავლის შესახებ მოსაზრებების დაწერა (3/4 წუთი)
რეფლექსიური დღიურები, სასწავლო ჟურნალები	სტუდენტების პრეზენტაციები კლასში
სწავლა კომპიუტერის დახმარებით	როლების გათამაშება
სასწავლო საგნების/პროექტების არჩევა	პლაკატების პრეზენტაცია
საგაზეთო სტატიის დაწერა	სტუდენტები კლასში ამზადებენ დასანერი სამუშაოს გეგმას

წყარო: ადაპტირებულია: ო'ნილი და მაკ-მაჰონი, 2005 წ.

სტუდენტები უნდა მონაწილეობდნენ და საკუთარი წვლილი შეჰქონდეთ საკლასო მუშაობაში. სასწავლო მასალა სტუდენტებს შორის დისკუსიებისა და დებატების უზარმაზარ შესაძლებლობას იძლევა და მეცადინეობა სემინარებს ემსგავსება. ლექტორებმა სასწავლო მასალა უნდა გაამდიდრონ მაგალითებით და ახალი მასალით თავიანთი ქვეყნებიდან ისე, რომ სტუდენტებმა გამოიყენონ სატელევიზიო და რადიოს ჟურნალისტური მასალა, ასევე მასალა იმ გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, რომლებსაც თავად კითხულობენ. სასურველია, სტუდენტებმა თავად მოიძიონ მასალა და მოიტანონ მეცადინეობაზე.

რეალურ ამბებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ მოამზადონ ჰიპოთეტური ისტორიების მოკლე მონახაზი, რომლებშიც წამოჭრილია პრობლემები და მოსთხოვონ სტუდენტებს, დაწერონ მათზე სტატია. სტუდენტებმა უნდა შექმნან ბავშვთა უფლებების წყაროების მონაცემთა ბაზაც, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება წყაროს სახეების მიხედვით, მაგალითად, „სამთავრობო წყაროები“, „საერთაშორისო წყაროები“, „ბავშვის უფლებათა წყაროები“, ანუ იმ ჩამონათვალის მსგავსად, რომლებიც მოცემულია სასწავლო მასალაში. ვებგვერდებზე არსებული ვრცელი მასალა, რომელიც ხელმისაწვდომია ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელის (CRIN) და „იუნისეფის“ ვებგვერდებზე, კარგ საწყის რესურსად გამოდგება.

ბავშვის უფლებათა შესახებ სწავლების შესაფერისი მეთოდოლოგია

ლექტორებს, რომლებიც ამ სასწავლო კურსს ატარებენ, შეუძლიათ შეიმუშაონ სწავლების ისეთი მეთოდი, რომელიც აერთიანებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების პრინციპებსა და მიზნებს და შეეფერება სტუდენტების ინსტიტუციურ ვითარებასა და გარემოს. ქვემოთ ისეთი მეთოდის მაგალითია მოყვანილი, რომელშიც გაძლიერებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპები და გამოყენებულია თანამონაწილეობის მეთოდი. ეს მეთოდი მთელ მსოფლიოში წარმატებით გამოიყენება როგორც ადამიანის, ასევე ბავშვის უფლებათა სწავლებაში.

ADIDS მეთოდი

ADIDS-ის მეთოდს მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების აზია-წყნარი ოკეანის რეგიონული რესურს-ცენტრი (ARRC HRE), რომელიც „ამნესტი ინტერნეიშნალისა“ და აზიის განვითარების კულტურული ფორუმის ერთობლივი პროექტია. ეს არის არაკომერციული, არასამთავრობო რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც 1922 წელს დაფუძნდა, როგორც ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების ინსტიტუტი და ქსელი აზია-წყნარის ოკეანის რეგიონში და ატარებს სემინარებს ადამიანის უფლებებში, ამზადებს და ავრცელებს საინსტრუქციო და სხვა შესაბამის მასალებს, ატარებს კვლევებს და ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიებს. 1955 წელს ARRC-მ გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა სფეროში

განათლების პაკეტი, ანუ ადამიანის უფლებათა შესახებ საგანმანათლებლო მასალების კომპლექტი, რომელიც მოიცავდა ADIDS-ის საბაზისო დოკუმენტს – პაოლო ფრერიის განათლების კონცეფციის თარგმანს.

ADIDS

აქტივობა

თითოეული მეცადინეობა იწყება ისეთი აქტივობით, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ან მონაწილის იმ ადრეული ცოდნის თუ გამოცდილების გამოვლენას, რომელიც მეცადინეობის მიზნებს უკავშირდება, ან მონაწილეთა მიერ კონცეფციების კარგად გაგებას. ამ ეტაპზე ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მონაწილეებს, გაკვეთილის მიზნების შესაბამის გამოცდილებაზე შეიქმნან ან შეიცვალონ წარმოდგენები და განცდები. ეს აქტივობა აგრძნობინებს მონაწილეებს, რომ ისინი დისკუსიის ცენტრში არიან. ამოსავალი წერტილი ადამიანის უფლებების სფეროში მათი გამოცდილებაა.

დისკუსია

დისკუსია მეცადინეობის სააზროვნო და დაკვირვების ფაზაა. კითხვებმა უნდა უზიძგოს მონაწილეებს, გაიაზრონ თავიანთი ის გამოცდილება, რომელიც ამ აქტივობაში განისაზღვრება. მონაწილეები იფიქრებენ ამ გამოცდილებაზე ლექციის მიზნებთან დაკავშირების გზით. საკმაოდ ხშირად საკუთარ გამოცდილებას კრიტიკის გარეშე ვიღებთ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მიზანმიმართულად ვაანალიზებთ, ვწვდებით მის არსს და განსხვავებული კუთხიდან ვუყურებთ. მონაწილეთა გამოცდილება დისკუსიის ობიექტად და „შინაარსად“ იქცევა.

სტუდენტის სამუშაო/ლექცია

სამუშაოს მიზანი მონაწილეთა ცოდნის გაფართოებაა. ფასილიტატორმა ან კონსულტანტმა შეიძლება ისეთი მოსაზრება გამოთქვას, რომელიც დაადასტურებს ან ეჭვის ქვეშ დააყენებს იმას, თუ როგორ ესმით მონაწილეებს კონკრეტული გამოცდილება. პრაქტიკული სამუშაოს მიზანია „უფლებების“ ისეთი პერსპექტივის ჩვენება, რომლიდანაც ხდება მონაწილეთა გამოცდილების დანახვა. სამუშაოს შედეგად სტუდენტებს საშუალება ეძლევათ დაახარისხონ თავიანთი ცოდნა და საკუთარი გამოცდილება უფლებრივ ქრილში განიხილონ.

ჩალრმავება

ჩალრმავება საშუალებას იძლევა, გამომჟღავნდეს და განხილულ იქნეს კონფლიქტი ან წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, მონაწილეთა შეხედულებებს შორის და, მეორე მხრივ, მონაწილეთა შეხედულებებსა და კონსულტანტის შეხედულებებს შორის.

სინთეზი

სინთეზი, ჩვეულებრივ, მოიცავს სპეციფიკურ აქტივობებს, რომლებიც ეხმარება მონაწილეებს, შეაჯამონ ის მიხვედრები, რომლებიც მეცადინეობის აქტივობის სეგმენტიდან ჩალრმავების სეგმენტამდე გამართული დისკუსიიდან მიიღება. იგი ასევე დაეხმარება ფასილიტატორს, განსაზღვროს, რამდენად მიიღწევა ლექციის მიზნები და შეიტანოს საჭირო ცვლილებები შემდეგი ლექციისათვის.

(ARRC, 1995)

ქვემოთ ცხრილის სახით არის მოცემული ამ მოდულის 1-ლი ნაწილის 1-ლი თავის ADIDS-ის მეთოდით სწავლების ნიმუში.

ADIDS-ის მეთოდოლოგია	განხორციელება	ფასილიტატორის შენიშვნები
<p>აქტივობა ან დისკუსია</p>	<p>მოიტანეთ/გააკეთეთ კოლაჟი ჟურნალის/გაზეთის სტატიებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება.</p>	<p>აქტივობა და დისკუსია განსაზღვრავს, თუ როგორ ესმით მონაწილეებს მთავარი შესასწავლი საკითხები და რა ცოდნას ფლობდნენ ისინი ამ საკითხებზე: რა არის ადამიანის უფლებები? ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა დაცვა.</p>
	<p>ისაუბრეთ მედიაში ბოლო დროს გაშუქებული ადამიანის უფლებათა ისტორიების შესახებ.</p>	

ADIDS-ის მეთოდოლოგია	განხორციელება	ფასილიტატორის შენიშვნები
<p>სტუდენტის სამუშაო/ლექცია</p>	<p>ადამიანის უფლებათა დაცვის რა საერთაშორისო სტანდარტები არსებობს? რის შესახებაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია? როგორ ვითარდება ადამიანის უფლებათა სტანდარტები? რა ფუნდამენტური პრინციპები უდევს საფუძვლად ადამიანის უფლებების სტანდარტებს? რომელი კონკრეტული უფლებებია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში? ადამიანის უფლებათა რა დარღვევები არსებობს? რომელმა ქვეყნებმა დაარღვიეს ან არ დაარღვიეს ადამიანის უფლებები?</p>	<p>სამუშაო ეფუძნება იმ ცოდნას, რაც მონაწილეებს უკვე აქვთ. ფასილიტატორი უბრალოდ ამატებს იმას, რაც აქტივობას/ დისკუსიას აკლია.</p>
<p>ჩალმავება</p>	<p>საყოველთაოა თუ შეფარდებითი ადამიანის უფლებები რომელიმე კულტურასთან თუ სიტუაციასთან მიმართებაში? არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული ეროვნული შეხედულება ადამიანის უფლებების შესახებ? რას ნიშნავს ადამიანის უფლებები ჟურნალისტიკისთვის?</p>	<p>ჩალმავება ხელს უწყობს ადამიანის უფლებების შესახებ საკამათო საკითხებზე დისკუსიის დაწყებას. ეს არის აზროვნების მაპროვოცირებელი კითხვები, რომლებიც მონაწილეებს დააფიქრებს ზოგიერთ მათ გააზრებულ ან გაუაზრებულ მოსაზრებაზე.</p>

ADIDS-ის მეთოდოლოგია	განხორციელება	ფასილიტატორის შენიშვნები
სინთეზი	ილუსტრაცია ან სცენარი, რომელშიც სტუდენტებს საკუთარი ცოდნის გამოყენება შეუძლიათ.	სინთეზი აჯამებს მეცადინეობაზე მიღწეულ მიხვედრებს და ეხმარება ფასილიტატორს, განსაზღვროს, მიღწეულია თუ არა სასწავლო მიზნები.

სწავლის შერეული მეთოდი

კომპიუტერით სწავლა, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, მეთოდოლოგიების ნაწილში იყო რეკომენდებული, ხოლო კომპიუტერით შეფასება დასახელებულია შეფასების ერთ-ერთ მეთოდად.

შერეული სწავლა უბრალოდ ტერმინია ისეთი სწავლისა და სწავლების მიდგომების აღსანიშნავად, რომლებიც ონლაინ აქტივობებისა და პირისპირ აქტივობების კომბინაციას წარმოადგენს.

VLE (Virtual Learning Environment - ვირტუალური სასწავლო გარემო) არის სწავლის ვირტუალური გარემო, რომელიც ხელს უწყობს შერეულ სწავლას.

შერეული სწავლის მაგალითები:

- **კურსის კომპონენტების შერევა**

სწავლის ეს კურსი შედგება პირისპირ მეცადინეობებისა და ონლაინ აქტივობებისაგან. თითოეული კომპონენტის წილი მნიშვნელოვნად იცვლება კურსიდან კურსამდე. ასეთი ფორმით შერეულ კურსში ცალკეული აქტივობები ან მთლიანად პირისპირ მეცადინეობებია, ან ონლაინ აქტივობები. ამრიგად, შეიძლება ჯერ იყოს ლექცია, მერე ონლაინ დისკუსია, რომელსაც მოჰყვება პრაქტიკული მეცადინეობა და შემდეგ ონლაინ მასალის გამოყენება.

- **ფიზიკური და ვირტუალური კომპონენტების შერევა (ადგილმდებარეობის შერევა)**

ჩვეულებრივ მიჩნეულია, რომ ონლაინ აქტივობა გამიზნულია კამპუსის გარეთ, სახლში, ინდივიდუალური გამოყენებისათვის. თუმცა ონლაინ აქტივობები ზოგჯერ საკლასო მეცადინეობის დროს, მასწავლებლის თანდასწრებით გამოიყენება. ზოგიერთ ონლაინ აქტივობას სტუდენტთა ჯგუფი ატარებს კამპუსის სასწავლო ტერიტორიაზე („სამეცადინო სივრცე“). ამრიგად, საგანმანათლებლო აქტივობა შეიძლება წარმოადგენდეს პირისპირ კომუნიკაციის და დისკუსიის და მასალის ონლაინ გამოყენების, ინფორმირების და კომუნიკაციის კომბინაციას. სწავლის პროცესი თავად არის შერეული. მასში შეიძლება მოხდეს როგორც ფიზიკური, ასევე ვირტუალური ადგილმდებარეობის შერევა.

- **რესურსების შერევა**

ელექტრონული სწავლა სხვადასხვა წყაროდან რესურსების თავმოყრის საშუალებას იძლევა. შესაძლებელი ხდება გარე რესურსებისა და ადგილზე, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსების გაერთიანება; კურსის მასწავლებლებს შეუძლიათ იმუშაონ გუნდებად და სწავლის ტექნოლოგიების გამოყენების გზით ადვილად გაუზიარონ ერთმანეთს რესურსები. სტუდენტებიც ერთმანეთს იყენებენ, როგორც რესურსებს, როდესაც ერთმანეთს დახმარებისთვის მიმართავენ; ეს, რასაკვირველია, პირისპირ მეთოდითაც ხდება და ონლაინ მეთოდითაც; ძირითადად ორივე მეთოდი გამოიყენება.

- სტუდენტებისათვის დავალებების შესრულების დროს ხელმისაწვდომი მასშტაბური და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები წარმოადგენს ციფრული, ფიზიკური და ადამიანური რესურსების ნაერთს, რომელსაც ისინი იყენებენ პირისპირ და ონლაინ მეთოდების ან ორივეს კომბინაციის გზით.

ვირტუალური სასწავლო გარემო ეწოდება ელექტრონული სწავლის ინსტრუმენტებისა და პროგრამების მთელ ნაკრებს, რომელიც ხელმისაწვდომია პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

ვირტუალური სასწავლო გარემოს სასწავლო პროგრამებია, მაგალითად:

ბლექბორდი (Blackboard)

უებ-სი-თი (WebCT)

კეშენმარკი (Questionmark)

კონტენტ რიპოზიტორიზ (Content Repositories)

სტუდენტზე ორიენტირებული ვირტუალური სასწავლო გარემო

დღეისათვის ელექტრონული სწავლის პაკეტების უმეტესობა უფრო პერსონალზე ორიენტირებულ მეთოდზეა გათვლილი. მართლაც, პოპულარული პროგრამული პაკეტები (Blackboard და WebCT), მათი ოპერირების თვალსაზრისით, ძალზე ფოკუსირებულია პერსონალზე. ყველაფერი ორგანიზებულია კურსების მიხედვით და საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას. სტუდენტებს ძალზე მცირე გასაქანი ეძლევათ იმისათვის, რომ საკუთარი ინიციატივით იმუშაონ კურსის ფარგლებში და დამოუკიდებლად, მასწავლებლის დახმარების გარეშე, წამოიწყონ დისკუსიები ან განათავსონ მასალები.

სტუდენტების საჭიროებები

არის თუ არა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტთა ჯგუფს, რომელსაც სურს, გამოიყენოს ბლექბორდი ან უებ-სი-თი, მაგრამ მასწავლებელს მათთვის ჯერ კურსისთვის საჭირო სივრცე არ შეუქმნია, რაიმე შესაძლებლობა უნივერსიტეტში, რომ (ა) მოსმენილი იქნეს სტუდენტების მოსაზრებები? (ბ) დაკმაყოფილებული იქნეს მათი საჭიროებები? რა საოპერაციო ფუნქციას ითხოვენ თავად სტუდენტები?

სწავლის ონლაინ წილის ზრდასთან ერთად სტუდენტებმა შეიძლება მოისურვონ კამპუსში და კამპუსის გარეთ საკუთარი დროის უკეთ ორგანიზება დროის უფრო დიდ „მონაკვეთებად“. განგებ ხომ არ ხდება უნივერსიტეტებში განრიგის ისე შემუშავება, რომ კამპუსში სამეცადინო დღეები რაც შეიძლება ცოტა გამოვიდეს? აქტიურ სწავლასა და ჯგუფურ მუშაობაში ელექტრონული სწავლის მეთოდის გამოყენების პროცესი საინტერესოდ ვითარდება. რას ფიქრობენ სტუდენტები სწავლის ასეთ მეთოდზე? რა სახის საგანმანათლებლო მიდგომები იქნებოდა მათთვის სასურველი?

რა ტიპის დახმარება დასჭირდებოდა სტუდენტს სახლიდან წვდომის, აკადემიური და ტექნიკური საკითხების გარკვევის, უსადენო ქსელის ხელმისაწვდომობის, სასწავლო სივრცის დიზაინის თვალსაზრისით? რა მოხდება, სტუდენტმა ვირტუალური სასწავლო გარემოს ფარგლებში რომ მოისურვოს საკუთარი ინციატივით, ანუ მასწავლებლის დახმარების გარეშე, ონლაინ სასწავლო ჯგუფის შექმნა ვირტუალური კონფერენციის ან რესურსების გაზიარების მიზნით? რა მოხდება, სტუდენტმა რომ იპოვოს საინტერესო ონლაინ რესურსები და თავად განათავსოს ბმულები და/ან მასალები კურსის რომელიმე სივრცეში ან ვებ-სივრცეში? სტუდენტზე ორიენტირებული ამ ტიპის ინსტრუმენტები ადვილი ხელმისაწვდომი არ არის კურსის მართვის ტრადიციულ სისტემებში. რისი უზრუნველყოფა იქნებოდა შესაძლებელი? და ისევ, რას ისურვებდნენ თავად სტუდენტები?

გზები, რომელთა მეშვეობითაც ლექტორები შეძლებენ ამ მოდულში შერეული სწავლების მიდგომების გამოყენებას:

- 1.
- 2.
- 3.

შერეული სწავლების მიდგომების გამოყენების სარგებელი:

შეფასება

შეფასება ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი აჩვენებს ლექტორს, რომ სტუდენტებმა გაითავისეს კონცეფციები და, შეუძლიათ, პროფესიულად შეასრულონ ჟურნალისტის საქმიანობა. მნიშვნელოვანია ის, რომ შეფასებით მონმდება სასწავლო პროგრამის ყველა ასპექტი და ფასდება სწავლის ის 5 (ხუთი) შედეგი, რომლებიც მთელი მოდულისთვის განისაზღვრა.

ლექტორებს შეუძლიათ, შეარჩიონ შეფასების ფორმა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად წარმატებულნი არიან სტუდენტები, ანდა რას არიან ისინი მიჩვეულები. ჩვენ არ გირჩევთ მხოლოდ ტრადიციული გამოცდებით შემოფარგვლას, ვინაიდან ასეთი ფორმით ვერ ხერხდება იმ ასპექტების სრულად

შემომნება, რომელთა განხილვასაც სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს. შეფასების ტრადიციულ პრაქტიკასთან დაკავშირებული სირთულე ის არის, რომ, მაგალითად, ნიშნებს ან ქულებს ზედმეტი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო რჩევის მიცემას და სწავლის ფუნქციას – ნაკლები, ხდება მოსწავლეების ერთმანეთთან შედარება, რითაც მახვილი უფრო კონკურენციაზე კეთდება, ვიდრე პერსონალურ გაუმჯობესებაზე.

ყველაზე კარგია, ლექტორებმა სტუდენტების შესამომხმებლად გამოიყენონ, როგორც შემაჯამებელი, ასევე ფორმირებადი შეფასებები. შემაჯამებელი შეფასება გამოყენებული უნდა იქნეს კომპეტენტურობის განსასაზღვრად და სტუდენტისთვის მოდულში ნიშნის დასაწერად. ფორმირებადი შეფასება გამოყენებული უნდა იქნეს იმისათვის, რომ სტუდენტმა მიიღოს რეკომენდაციები სწავლის შესახებ. ამ შეფასებით სტუდენტს ეძლევა რჩევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს საკუთარი წინსვლა, მაგრამ იგი გავლენას არ ახდენს სტუდენტის შემაჯამებელი შეფასების ნიშანსა თუ ქულაზე.

სასწავლო კურსში მეტი ფორმირებადი შეფასების გამოყენებით მოახდენთ სტუდენტებზე ფოკუსირებას, ვინაიდან გამოავლენთ მათ სწავლაში ნაკლოვანებებსა და იმ ასპექტებს, რომელთა გამოსწორებაც შეუძლიათ. ფორმირებადი შეფასების მაგალითებში შედის კომენტარები ესეებზე, წერილობითი შენიშვნები შესრულებულ დავალებებზე, წლის განმავლობაში ისეთი ნიშნების დაწერა, რომლებიც არ იმოქმედებს წლის ბოლოს დაწერილ ნიშანზე, და მრავალვარიანტიანი კითხვები/პასუხები მხოლოდ რეკომენდაციების მისაღებად. სხვა ფორმირებადი შეფასებების დამატება აძლიერებს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას.

შემაჯამებელი შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი არის ის, რომ მან უნდა განსაზღვროს, მიაღწია თუ არა და რამდენად მიაღწია სტუდენტმა ამ მოდულისათვის განსაზღვრულ სასწავლო შედეგს, რის საფუძველზეც დაინერება ნიშანი ან ქულა, რომელიც იმოქმედებს სტუდენტის შემდგომ სწავლაზე, სწავლის შედეგზე ან ორივეზე. იმას, თუ რას სწავლობს სტუდენტი, რა ძალისხმევას იყენებს ამისათვის და რა ხასიათი აქვს სტუდენტის სწავლას, ხშირად იმ შემაჯამებელი შეფასების მასშტაბი და ფორმა განაპირობებს, რომლის მიღებასაც ისინი მოელიან. მაგრამ ფორმირებადი შეფასება უმნიშვნელოვანესია სწავლის პროცესისათვის და იდეალურ შემთხვევაში

სასწავლო კურსი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს ფორმირებადი შენიშვნების რაოდენობა, რომლებსაც სტუდენტები მიიღებენ თავიანთი სამუშაოს შესახებ.

შემაჯამებელი შეფასება

ქვემოთ მოტანილია შემაჯამებელი შეფასებების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ლექტორებს შეუძლიათ უცვლელად ან სახეცვლილი ფორმით გამოიყენონ. შემაჯამებელი შეფასების ეს მაგალითი რეკომენდებულია ამ მოდულისათვის:

სტუდენტები წარმოადგენენ ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ 1000-სიტყვიან სტატიას. სტატია უნდა იყოს ორიგინალური და შესრულებული მაღალპროფესიულ დონეზე ისე, რომ მისი გამოქვეყნება შეიძლებოდეს. სტუდენტები ასევე წარმოადგენენ ჟურნალს, რომელშიც აღწერილი იქნება კვლევისა და სტატიის წერის პროცესი. სადაც შესაძლებელია, სტუდენტები რადიოსთვის ახალი ამბების პაკეტს მოამზადებენ.

მაგალითად, სტუდენტებმა მედიაორგანიზაციის გამოშვების რედაქტორს შეიძლება გამოსაქვეყნებლად ან ტრანსლირებისათვის შესთავაზონ სტატიის ან პაკეტის მომზადება. სტუდენტებმა უნდა მოამზადონ ყოველკვირეული ჟურნალიც, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი პროცესი, წამოჭრილი საკითხები, მათ შორის ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი თუ უინტერესობა. რეალურად ამ ტიპის შეფასება შეიძლება გამოყენებული იქნეს იქ, სადაც დიდი მედიაბაზარია. ამის ერთ-ერთი ალტერნატიული ვარიანტია სტუდენტის მიერ ნამუშევრის წარდგენა რედაქტორისათვის, რომელიც საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს ამ ნამუშევარზე, თუმცა არ იქნება ვალდებული, გამოაქვეყნოს იგი. სტუდენტს ნიშანი ეწერება ჟურნალში აღწერილი საკითხების, პუბლიკაციის და გამოქვეყნებულ ნაშრომში წამოჭრილი საკითხების საფუძველზე.

ფორმირებადი შეფასება

ქვემოთ მოტანილია ფორმირებადი შეფასების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ლექტორებს შეუძლიათ გამოიყენონ უცვლელად ან სახეცვლილი ფორმით, როგორც თავად ჩათვლიან საჭიროდ:

ყოველი მეცადინეობის დასრულებისას სტუდენტებს ეძლევათ დავალება შემდეგი მეცადინეობისთვის. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტები შემონმდებიან კონკრეტული ნაწილის ყველა ასპექტში. დავალების მოცულობა შეიძლება მონაცვლეობდეს მოკლე ახალი ამბის მომზადებიდან და კონკრეტულ საკითხზე ბავშვების შერჩევითი გამოკითხვიდან (ვოქს-პოპი) მრავალპასუხიან ტესტებამდე. მნიშვნელოვანია, რომ დავალების სირთულის დონე სტუდენტების დონეს შეესაბამებოდეს, თუმცა დავალება ძალიან ძნელი ან დეტალური არ უნდა იყოს, რათა სტუდენტებს არ გაუჭირდეთ ამ დავალებისათვის გამოყოფილ დროში ჩატევა. ეს საკლასო დავალებები შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ფორმირებადი შეფასებები და ყოველ მათგანზე ნიშნის დანერა არ არის აუცილებელი. ისინი ქმნის მდიდარ ბაზას მომავალი მეცადინეობებისათვის და მთავარი სადისკუსიო საკითხების განსაზღვრაში და მათ შემდგომ გავრცობაში გვეხმარება. ფორმირებადი შეფასების ნებისმიერი ქვემოთ მოცემული ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს დავალების ხასიათის მიხედვით:

- თანაკურსელის შეფასება
- თვითშეფასება
- შეფასება კომპიუტერის მეშვეობით
- სასწავლო კონტრაქტები / შეთანხმებული კონტრაქტები

თანაკურსელის შეფასება / თვითშეფასება

თანაკურსელის შეფასება და თვითშეფასება კონტროლსა და პასუხისმგებლობას უბრუნებს სტუდენტს, ხაზს უსვამს რა სტუდენტში ავტონომიურობის გაზრდილ გრძნობას. თვითშეფასება მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც ეხმარება სტუდენტს, საკუთარ სწავლაზე აიღოს პასუხისმგებლობა.

თანაკურსელის შეფასება

თანაკურსელის შეფასება ნიშნავს სხვა, თანაბარი სტატუსისა და უფლებამოსილების მქონე ადამიანის სამუშაოს შეფასებას. თანაკურსელის შეფასებამ სარგებლობა ორივე მხარეს უნდა მოუტანოს — შესაფასებელსაც და შემფასებელსაც. კონსტრუქციული შენიშვნების მიცემის უნარი ძალზე ფასეული უნარია. ამ უნარის შესაძენად სტუდენტი შეისწავლის ნიშნის/ქულის დანერის სქემებს ან შეფასების კრიტერიუმებს, იმას, თუ როგორ ააგოს წინადადება, რომელშიც ეფექტიანად იქნება შენიშვნები გამოხატული და როგორ დაიცვას საკუთარი კომენტარები. კრიტიკული გააზრება, რომელიც უმნიშვნელოვანესია შენიშვნების გამოთქმისთვის, ძალზე ფასეული აკადემიური უნარია. სტუდენტები ისწავლიან დიპლომატიასაც, როგორ მიიღონ და მოახდინონ რეაგირება კონსტრუქციულ კრიტიკაზე, შეიძინენ, ასევე, მკაფიო და კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასებების გაკეთების უნარ-ჩვევებს. თანაკურსელის შეფასება გააღრმავებს სტუდენტის სასწავლო გამოცდილებას, რადგან სტუდენტები ბევრ რამეს გაიგებენ საკუთარ ნაშრომზე სხვა სტუდენტების მიერ შესრულებული მსგავსი დავალებების შეფასების გზით.

თვითშეფასება

თვითშეფასების დროს სტუდენტები საკუთარ ნამუშევარს ამონმბენ, ხელახლა უბრუნდებიან დავალებების მონახაზებს და ტექსტებს და უღრმავდებიან და იაზრებენ თავიანთ წარსულ პრაქტიკას. ყურადღების მიქცევაა საჭირო, რომ სტუდენტებმა ისწავლონ იმის შეფასება, რაც ფაქტობრივად არის მიღწეული და არა იმისა, თუ რა იყო ნაგულისხმევი. თვითშეფასების კონცეფცია საკუთარი ნაშრომის შეფასების უნარის გარდა თვითანალიზის და კრიტიკული გააზრების უნარ-ჩვევებსაც ავითარებს.

შეფასება კომპიუტერის მეშვეობით

კომპიუტერით შეფასება სწრაფი და ქმედითი გზაა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტი მალევე ღებულობს გამოხმაურებას საკუთარ ნაშრომზე, ხოლო მასწავლებელი ზოგავს ნიშნის დასაწერად საჭირო დროს. კომპიუტერით შეფასება ტიპური ფორმირებადი შეფასებაა, ვინაიდან იგი ეხმარება სტუდენტს, დაადგინოს, მიაღწია თუ არა მასწავლებლის მიერ დასახულ მიზანს.

სასწავლო კონტრაქტები/შეთანხმებული კონტრაქტები

ეს კონტრაქტები განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომლებსაც სტუდენტები თავიანთი საგანმანათლებლო საქმიანობების მიხედვით სახავენ და ათანხმებენ ლექტორებთან. ასეთ კონტრაქტში შეიძლება განისაზღვროს შეფასების ის ფორმაც, რომლითაც სტუდენტს სურს, რომ მისი ცოდნა შემომნდეს იმის დასადგენად, მიღწეულ იქნა თუ არა დასახული მიზნები. ეს იძლევა არჩევანის საშუალებას, რა საგანი ისწავლოს სტუდენტმა და ასევე არჩევანისა, თუ რა ფორმით შეფასდეს მისი ცოდნა. არჩევანი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

სწავლის შეთანხმების კონცეფციაც ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ცვლილების მაჩვენებელია. როგორ ვანიჭებთ, სინამდვილეში, სტუდენტს გარკვეულ ავტონომიას და გადაწყვეტილების მიღების საშუალებას ისეთ სფეროში, როგორც შეფასება? ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება ლექტორმა ჩართოს სტუდენტი შეფასების პროცესში.

<p>სტუდენტების ჩართვა დავალებების განსაზღვრის ეტაპზე</p>	<ul style="list-style-type: none"> • შესაფასებელი დავალების არჩევა • შესაფასებელი დავალების განსაზღვრა • მსჯელობა შეფასების კრიტერიუმების შესახებ • შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა
<p>სტუდენტების ჩართვა დავალებების შესრულების შემდგომ ეტაპზე</p>	<ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასებითი შენიშვნების გამოთქმა • თანაკურსელთა მიერ შეფასების შენიშვნების გამოთქმა • თვითშეფასებითი ნიშნების/ ქულების შემოთავაზება • თვითშეფასებით ნიშნებზე/ ქულებზე შეთანხმება • თვითშეფასებითი ნიშნების/ ქულების მინიჭება • თანაკურსელთა მიერ შეფასების ნიშნების ან ქულების მინიჭება

კომენტირება

ფორმირებადი (და, ასევე, შემაჯამებელი) შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია კომენტარები სტუდენტების, თანაკურსელების ან ფასილიტატორის მხრიდან. ხარისხიანი, სრულყოფილი, დროული კომენტარები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტის სწავლის პროცესის წარმართვისთვის. შეფასება სტუდენტებს უნდა უზრუნველყოფდეს კომენტარებით სწავლის დასახული მიზნებისაკენ მათი წინსვლის შესახებ. კომენტარებით სტუდენტები შეძლებენ გაიაზრონ, რა გააკეთეს კარგად, რა უნდა გამოასწორონ და რამდენად სამართლიანი იყო შემაჯამებელი შეფასებით დასმული ნიშანი/ქულა.

იმისათვის, რომ თქვენმა – როგორც ფასილიტატორის – კომენტარებმა მაქსიმალური ზეგავლენა იქონიოს სტუდენტის სწავლის პროცესზე, ეს კომენტარები დროული უნდა იყოს. ნაადრევმა კომენტარებმა შეიძლება სტუდენტის გააზრების პროცესი შეაფერხოს. თუმცა უფრო ხშირად კომენტარები დაგვიანებით კეთდება, როდესაც სტუდენტისათვის მათ არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს. კომენტირება არ უნდა გადაიდოს წლის/სემესტრის ბოლოსთვის, ვინაიდან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამან რაიმე სარგებლობა მოუტანოს სტუდენტს მას შემდეგ, რაც დავალება დასრულებული ექნება და ახალი დავალების შესრულება ექნება დაწყებული.

დროულ და არსებით კომენტირებას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. მაგალითად, ასეთი კომენტირება:

- გააჩენს ნდობას სტუდენტებში;
- მოტივაციას გაუჩენს სტუდენტებს, გააუმჯობესონ სწავლის პროცესი;
- მიაწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სწავლის პროცესის გაუმჯობესების შესახებ;
- გამოასწორებს შეცდომებს, განსაზღვრავს ძლიერ და სუსტ მხარეებს.

კომენტარების მეტი ეფექტიანობა

თქვენი, როგორც მასწავლებლის, კომენტარების ხარისხის გაუმჯობესების მრავალი გზა არსებობს, რათა ისინი სტუდენტისათვის მეტი შედეგის მომტანი იყოს. მარტივი რამეები, მაგალითად, კარგი ნამუშევრის პლუსით (ან სხვა

გრაფიკული ნიშნით) აღნიშვნის ნაცვლად ისეთი მოკლე სიტყვების ჩანერა, როგორიცაა „კარგია“ ან „სწორია“, გაზრდის სტუდენტების მოტივაციას. კომენტარები კონკრეტული უნდა იყოს — ნუ იტყვით მხოლოდ, რომ „კარგია“, განუმარტეთ, რატომ არის კარგი, რა თვალსაზრისით. კომენტარები ასევე უნდა იყოს კონსტრუქციული, ნამახალისებელი, გულახდილი, ხელშემწყობი, რაც შეიძლება ხშირად უნდა კეთდებოდეს და არსებითი ხასიათი უნდა ჰქონდეს. კონსტრუქციული კომენტარები სტუდენტს უნდა მიუთითებდეს:

- შეფასებული სამუშაოს რომელი ასპექტებია კარგი და რატომ;
- შეფასებული სამუშაოს რომელი ასპექტებია ნაკლებად კარგი და რატომ;
- როგორ შეიძლება, რომ სტუდენტმა გააუმჯობესოს ეს კონკრეტული სამუშაო;
- როგორ შეიძლება, რომ სტუდენტმა უკეთ იმუშაოს მომავალში.

კომენტარების მეტი ქმედითობა

კომენტარებმა შეიძლება დიდი დრო წაიღოს, მაგრამ არსებობს მათი ქმედითობის გაზრდის გზები.

- გაითვალისწინეთ იმ კომენტარების ხასიათი, რომლებიც სტუდენტებს თითოეული სამუშაოს კონცეფციების გასაგებად და უნარ-ჩვევების განსავითარებლად სჭირდება. რამდენად დეტალური უნდა იყოს კომენტარები? ინდივიდუალური უნდა იყოს თუ ჯგუფური? ზეპირი ფორმით უნდა იყოს თუ წერილობითი?
- გამოიყენეთ უორდის ფაილში დოკუმენტის შესწორების და რედაქტირების ფუნქცია, რათა უფრო სწრაფად უზრუნველყოთ სტუდენტები კომენტარებითა და შენიშვნებით მათ ესეებსა და რეპორტაჟებზე.
- გამოიყენეთ ან შექმენით კომენტარების სტანდარტული ფორმები.
- ჩანერეთ აუდიოფორზე კომენტარები სტუდენტებისთვის.
- მოიფიქრეთ უფრო დეტალური ხერხები იმის გამოსავლენად, თუ რა ლოგიკა უდევს ნამუშევარს, რა არის ის კონცეფციები და პრინციპები, რომლებიც შეიძლება არასწორად იქნეს გაგებული და წინასწარ დაადგინეთ, სტუდენტების რა შეცდომები შეიძლება მოჰყვეს მათ ასეთი გაუგებრობის შედეგად.

მოდულის სტრუქტურა

მოდულის სტრუქტურა

„ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა — უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“ ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილია „ბავშვის უფლებების გაცნობა“, ხოლო მეორე – „ბავშვის უფლებები და პროფესიული ჟურნალისტური პრაქტიკა“. პირველ ნაწილში მოცემულია მთავარი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სტუდენტებს კონცეფციის შეფასების და გაგების საშუალებას აძლევს. მეორე ნაწილში ეს პრინციპები პრაქტიკულ მაგალითებსა და პროფესიულ კონტექსტში გამოიყენება. სტუდენტებმა მოდული სრულად უნდა გაიარონ, თუმცა ორგანიზაციული მიზნებისათვის შესაძლებელია თითოეული ნაწილის დამოუკიდებლად სწავლება.

მიზნები და ამოცანები

ამ მოდულის მიზანია, რომ სტაჟიორმა ჟურნალისტებმა ან ჟურნალისტების ფაკულტეტის სტუდენტმა გაიგონ ბავშვის უფლებები ისე, როგორც ისინი გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციაშია განსაზღვრული და განივითარონ ახალი ამბების პასუხისმგებლობით გაშუქების უნარი, რომელიც გულისხმობს ბავშვის უფლებების დაცვას და პატივისცემას ყველა იმ საკითხში, რომლებიც მედიაში ბავშვების მონაწილეობას და გაშუქებას ეხება.

სწავლის შედეგები

ამ მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

1. გაიგოს და განსაზღვროს ბავშვის უფლებათა ძირითადი ასპექტები ისე, როგორც ეს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაშია განსაზღვრული;
2. წაიკითხოს, გაანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება უფლებების დაცვის კუთხით;
3. კრიტიკულად შეაფასოს, თუ რამდენად შესაფერისი და მნიშვნელოვანია სარედაქციო პრინციპები და ქცევის კოდექსები ბავშვების შესახებ ახალი ამბების გავრცელების პრაქტიკასთან მიმართებით;

4. პროფესიულად შეაფასოს ჟურნალისტური პრაქტიკა ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით;
5. გააშუქოს სამართლიანად, ზუსტად და ბავშვის უფლებების პრინციპებთან შესაბამისად.

მოდულის სტრუქტურა — საკონტაქტო საათები და ინდივიდუალური მეცადინეობა

მოდული წარმოადგენს ერთ 10 ECTS-იან (კრედიტების გადატანის და დაგროვების ევროპული სისტემა) მოდულს და მთლიანობაში ითვალისწინებს 200-საათიან ინდივიდუალურ მეცადინეობას სტუდენტის მხრიდან. შესაძლებელია თითოეული ნაწილის, როგორც ორი 5 ECTS-იანი ნაწილის, დამოუკიდებლად გავლა.

მოდულისთვის რეკომენდებული საკონტაქტო საათები: 60 საათი
დამოუკიდებელი მუშაობისათვის საჭირო იქნება, სავარაუდოდ, 140 საათი.
მოდულის სწავლისთვის საჭირო საათები: 200 საათი

ცალკეულ თავებთან დაკავშირებული შენიშვნები მასწავლებლებისათვის

ნაწილი 1: ბავშვის უფლებათა გაცნობა

1. ადამიანის უფლებათა ცნების წარმოდგენა

ამ თავში შესასწავლი ძირითადი საკითხებია:

- რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- ადამიანის უფლებათა დაცვა

რეკომენდებული სადისკუსიო თემა: იმსჯელეთ ადამიანის უფლებათა კონცეფციებზე თანამედროვეობიდან შერჩეული თემის კონტექსტში.

ამ დავალების მიზანია სტუდენტებსა და ლექტორს შორის დისკუსიის დაწყება ზოგადად ადამიანის უფლებების შესახებ. თემის შერჩევა შეუძლია ლექტორს ან თავად სტუდენტებს. ზოგადი თემა დისკუსიის დასაწყებადაა საჭირო, შემდეგ კი მეცადინეობაზე იმსჯელეთ ზოგიერთ იმ საკითხზე, რომლებსაც ეს ნაწილი მოიცავს, მაგალითად, უფლებების განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებული ბუნების კონცეფციასა და არსზე. კერძოდ, დისკუსიაში შეიძლება განხილულ იქნეს ადამიანის უფლებების გავლენის და ჟურნალისტური პრაქტიკისთვის მათი მნიშვნელობის საკითხი.

2. ბავშვის უფლებები

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- რატომ არის აუცილებელი ბავშვის უფლებების გამოყოფა?
- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- ბავშვის უფლებათა კომიტეტი.

რეკომენდებული სადისკუსიო თემა: გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისათვის თქვენი ქვეყნის მიერ წარდგენილი ეროვნული ანგარიშები, კომიტეტის მიერ ამ ანგარიშების განხილვა, მსჯელობა ბავშვის

უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე თქვენს ქვეყანაში, არსებული მონიტორინგის მექანიზმებისა და მათი გავლენის შესახებ.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ თითოეულ ქვეყანას მოეთხოვება გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისათვის ეროვნული ანგარიშის რეგულარულად წარდგენა. ასეთ ანგარიშს ხშირად თან ახლავს არასამთავრობო სექტორის მიერ მომზადებული ალტერნატიული (ე.წ. „ჩრდილოვანი“) ანგარიში. სტუდენტებისათვის სასარგებლო იქნება ამ ანგარიშების განხილვა და ნახვა, თუ რომელ საკითხებს მიიჩნევს მთავრობა სერიოზულ საკითხებად და როგორ არის ეს საკითხები ასახული არასამთავრობო სექტორის ანგარიშში. გარდა ამისა, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ამზადებს დასკვნით მოსაზრებებს ქვეყნის ანგარიშზე, სადაც მოცემულია არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ქმედებები. როგორც ეროვნული ანგარიშები, ასევე კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები შეიძლება ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს იმისათვის, რომ სტუდენტებმა ზუსტად გაიგონ, რას ნიშნავს ბავშვის უფლებები. სტუდენტებს შეიძლება სთხოვოთ, გაიხსენონ საკუთარი ბავშვობის გამოცდილება და იმსჯელონ, რა გავლენა შეიძლება მოეხდინა ამას მათ შეხედულებებზე ბავშვის უფლებების შესახებ.

3. ბავშვის უფლებები და მედია

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- მედიის გავლენა ახალგაზრდებზე;
- ბავშვების გაშუქება მედიაში;
- ბავშვების მონაწილეობა მედიაში.

რეკომენდებული სადისკუსიო თემა: შეარჩიეთ მედიაში არსებული მასალა, რომელიც ბავშვებს ეხება, და განიხილეთ იგი ბავშვის უფლებების კონტექსტში.

ამ თავის მიზანია, დააფიქროს სტუდენტები ბავშვთა უფლებების ზეგავლენაზე, ასევე იმაზე, თუ როგორ შეიძლება ისინი „გამოვლინდეს“ რეალობაში. დისკუსიის დროს წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობისას კარგი იქნება, თუ განიხილავთ საზოგადოებაში არსებულ ბალანსს ბავშვების, მშობლებისა და ზრდასრული ადამიანების უფლებებს შორის. დისკუსიის გაგრძელება

შეიძლება იმის განხილვით, თუ როგორ ხდება ბავშვების მონაწილეობის გაზრდა ისეთ სფეროებში, რომლებიც მათ ეხება. ასეთი სფეროები შეიძლება იყოს განათლება, მზრუნველობა დღის განმავლობაში, თამაში და დასვენება. კვლევამ აჩვენა, რომ უფროსები ბავშვებს ხშირად უბრალოდ ფორმალურად აძლევენ შესაძლებლობას, გააზრებულად მიიღონ მონაწილეობა და გაითვალისწინონ ამ მონაწილეობის შედეგი და არა რეალურად. საუკეთესო პრაქტიკიდან რამდენიმე მაგალითის განხილვით სტუდენტები შეძლებენ, გაილრმავონ წარმოდგენა ბავშვების შესახებ პოლიტიკის, პრაქტიკისა და კვლევისადმი უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ.

4. წინააღმდეგობები ბავშვთა უფლებების განხორციელების გზაზე

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- ადამიანის უფლებების დაცვა;
- ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა;
- პრობლემები ბავშვთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით;

რეკომენდებული თემა დისკუსიისა და შემდგომი კვლევისათვის: დაადგინეთ თქვენს ქვეყანაში მოქმედი ბავშვთა უფლებების დამცველი ჯგუფები. ემყარებიან თუ არა ეს ჯგუფები უფლებებს? ითვალისწინებენ თუ არა ბავშვების მოსაზრებებს თავიანთ საქმიანობაში?

დღემდე ჩატარებული დისკუსიებიდან და მეცადინეობებიდან გამომდინარე, პროგრამის ამ ეტაპისათვის სტუდენტებს უკვე საკმაოდ ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ან შეიძლება რეალურად ნიშნავდეს „უფლებებზე დაფუძნებული“ მიდგომა. უფლებების დამცველი სააგენტოების [ეროვნული და საერთაშორისო] და ბავშვებზე პასუხისმგებელი სამთავრობო დეპარტამენტების მიმოხილვისას სასარგებლო იქნება უფლებების ენასა და უფლებების რიტორიკაზე მსჯელობა. სტუდენტებს ამ ეტაპზე უნდა შეეძლოთ თავიანთ ქვეყანაში უფლებების რეალიზებაში არსებული ბარიერების (თუ ასეთები არსებობს) განიხილვა.

5. მედიის მიერ ბავშვების ასახვა, ბავშვის უფლებები და პროფესიული პასუხისმგებლობა

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- მედიაში ბავშვების ასახვა;
- მედიის მიერ სტერეოტიპების შექმნა;
- ბავშვის უფლებათა დარღვევა;
- ბავშვის დაცვა.

რეკომენდებული თემა დისკუსიისა და შემდგომი კვლევისათვის: მიმოიხილეთ ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელის (CRIN) ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები და განსაზღვრეთ რამდენიმე ძირითადი პრინციპის მნიშვნელობა თქვენი პრაქტიკისათვის. როგორ შეიძლება – თუკი საერთოდ ეს შესაძლებელია – გავლენა მოახდინოს ამ პრინციპებმა არსებულ პრაქტიკაზე?

ეს მოდული ეხება ბავშვების უფლებების დაცვას ჟურნალისტურ პრაქტიკაში. მთავარი გამოწვევა აქ სტუდენტების აზროვნების ფოკუსის გადატანაა ბავშვთა დაცვის საკითხიდან ბავშვის – როგორც აქტიური მოქალაქის – და მისი უფლებების დაცვის საკითხზე. ეს თავი ეხმარება სტუდენტებს, თავი დააღწიონ ბავშვებისადმი ზედაპირულ მიდგომას, დამკვიდრებულ სტერეოტიპებს — კარგი/ცუდი; ანგელოზები/ემშაკები და ა.შ. — და განიხილონ სტერეოტიპების ჩამოყალიბების როგორც უმნიშვნელო, ისე სერიოზული ფორმები და ის რისკები, რომლებსაც ისინი შეიცავს და რომლებითაც ილახება ბავშვის უფლებები.

6. ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო პრაქტიკა ბავშვების თვალსაზრისით

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- „მსოფლიო ბავშვებისათვის“;
- ეროვნული სამოქმედო გეგმები ბავშვებისათვის;
- ბავშვების მონაწილეობა;
- საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები;
- ბავშვთა თვალსაზრისის გაგება: მაგალითები.

რეკომენდებული თემა დისკუსიისა და შემდგომი კვლევისათვის: განიხილეთ თქვენს ქვეყანაში ბავშვებთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმის სტატუსი და ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა მის შემუშავებაში.

ზოგი ქვეყანა სხვა ქვეყნებზე უფრო ქმედითა ბავშვთა უფლებების რეალიზებასა და აღნიშნულ პროცესში ბავშვების ჩართვაში. ამ დავალების მიზანია, დააფიქროს სტუდენტები, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ მათ ქვეყანაში. საერთოდ, მოდულის ამ თავის მიზანია, დააფიქროს სტუდენტები იმაზე, თუ როგორ იმუშაონ ბავშვებთან და ბავშვების საკეთილდღეოდ საერთაშორისო ჩარჩოს ფარგლებში და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

მოდულის ამ ნაწილის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებს შორის კრიტიკული დისკუსიის დაწყებას იმაზე, თუ რას ნიშნავს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და როგორ იმოქმედებს ეს ჟურნალისტურ პრაქტიკაზე. მოსალოდნელია უთანხმოება და დებატები, რაც გაამდიდრებს სტუდენტების განათლების პროცესს და ხელს შეუწყობს ამ რთული სფეროსადმი გააზრებული მიდგომის ჩამოყალიბებას.

ნაწილი 2: გავრცობის უფლებები და პროფესიული ჟურნალისტური პრაქტიკა

1. ქვეყნის კოდექსები და სახელმძღვანელო სარედაქციო პრინციპები

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- რა საჭიროა ქვეყნის კოდექსები?
- კოდექსები დეტალური და ნორმატიული უნდა იყოს თუ ზოგად პრინციპებს უნდა მოიცავდეს?
- ქვეყნის კოდექსები და მოვალეობები;
- ქვეყნის კოდექსები და პრესის თავისუფლება;
- პასუხისმგებლობის და თავისუფლების შედარება.

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: სთხოვეთ სტუდენტებს, იმსჯელონ იმაზე, თუ რას უნდა მოიცავდეს ქვეყნის კარგი კოდექსი და რა ფასეულობები უნდა იყოს მასში ხაზგასმული. ჩამოწერეთ სია დაფაზე და შემდეგ შეადარეთ საკლასო დისკუსიის შედეგად მიღებული ეს სია რეალურ კოდექსებს.

ძალზე მნიშვნელოვანია, სტუდენტებს მიეცეთ დრო, რომ შეთავაზებული მასალა კრიტიკულად განიხილონ. ყოველთვის აუცილებელია კოდექსის შესრულება? კოდექსები სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს თუ რეგულირებას?

2. ბავშვთა დაცვის სტრატეგიები

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- ბავშვთა დაცვის სტრატეგიები. რას წარმოადგენს ეს სტრატეგიები და რა შეხება აქვს ჟურნალისტიკებთან?
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიების შემუშავება;
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიების განხორციელება;
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიები და პრესის თავისუფლება.

ამ თავში განხილულია, თუ რამდენად იცავენ თავად ჟურნალისტიკები ბავშვთა უფლებებს პროფესიული საქმიანობისას და რამდენად გამოავლენენ ისინი იმ ორგანიზაციებს, რომლებიც არღვევენ ბავშვთა უფლებებს. აღნიშნული თავი ეფუძნება წინა ლექციას ეთიკის კოდექსების შესახებ. ბოლო წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აშშ-ში, ავსტრალიასა და ირლანდიაში კათოლიკური ეკლესიის მღვდლების მიერ ბავშვთა ექსპლუატაციის ფაქტების გაშუქება მედიაში. სტუდენტებმა უნდა განიხილონ, ბავშვთა დაცვის რა სტრატეგიები არსებობს მათ ქვეყნებში არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციაში. მათ შეუძლიათ ასევე იმსჯელონ ბავშვთა დაცვის იმ ახალი ზომების შესახებ, რომლებიც კათოლიკურმა ეკლესიამ შემოიღო ბავშვთა ექსპლუატაციის გახმაურებული ისტორიის შემდეგ.

სტუდენტებმა შეიძლება ინტერვიუები აიღონ ჟურნალისტიკებისაგან, რათა გაარკვიონ, რამდენად ინფორმირებულები არიან ისინი ბავშვთა დაცვის სტრატეგიებისა თუ რეგულირების შესახებ.

სასურველია, სტუდენტები ბავშვთა დაცვის სფეროში მოღვაწე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაესაუბრონ მედიაში ბავშვების გაშუქების საკითხებზე. ასეთი საუბრების შედეგად შეიძლება მომზადდეს რეპორტაჟები ან სტატიები, რომლებსაც მთელ კლასს გააცნობენ.

3. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- ბავშვთა დაცვის სტრატეგიები. რას წარმოადგენს ისინი და რა შეხება აქვს ჟურნალისტიკასთან?
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიების შემუშავება;
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიების განხორციელება;
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიები და პრესის თავისუფლება.

ეს შეიძლება სტუდენტებისათვის ძალზე რთული სფერო აღმოჩნდეს. ხშირად საზოგადოების დამოკიდებულება ისეთი ბავშვების მიმართ, რომლებიც სერიოზულ დანაშაულს სჩადიან, ძალზე მკაცრია. ზოგჯერ ასეთი ბავშვების იდენტიფიცირება, დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, ისეთ ქვეყნებშიც კი ხდება, სადაც სასამართლო პროცესში მონაწილე ბავშვების ანონიმურობა ჩვეულებრივ დაცულია.

უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა სტუდენტმა იცოდეს საკუთარ ქვეყანაში არსებული იურიდიული მოთხოვნები იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობენ სასამართლო განხილვაში ან შეხება აქვთ სასამართლო სისტემასა და პოლიციასთან.

ნებისმიერი ჟურნალისტი, რომელსაც სურს ბავშვთა საკითხებსა და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში სპეციალიზება, უნდა იცნობდეს ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა კანონს.

4. სიუჟეტებისა და წყაროების მოძიება

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- რა არის წყარო;
- შეიძლება თუ არა, რომ ბავშვი იყოს წყარო?
- ჟურნალისტიკისთვის წყაროების მნიშვნელობა;
- ანონიმური წყაროები;
- საიდან ვიგებთ ამბებს?

სთხოვეთ სტუდენტებს, შეარჩიონ სიუჟეტი და ჩამოთვალეთ გამოსაყენებელი წყაროები, ასევე, აუხსენით, თუ როგორ უნდა დაუკავშირდნენ მათ, მიეცით ტელეფონის ნომრები ან ელექტრონული ფოსტის მისამართები. წყაროებთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ ჟურნალისტები ეყრდნობიან ადამიანების ძალზე მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც ძირითადად ისტებლიშმენტს წარმოადგენს; უბიძგეთ მათ, განსხვავებულად და არატრადიციულად მიუდგნენ წყაროების შერჩევას.

ეს მოდული უნდა მოიცავდეს იმასაც, რაც სტუდენტებმა ახალი ამბების ფასეულობების შესახებ სხვა მოდულებში ისწავლეს.

სტუდენტებმა უნდა ივარჯიშონ სტატიების წერაში და მოიფიქრონ, როგორ ასახონ ბავშვთა უფლებები საკუთარ ნაშრომებში.

ბავშვის უფლებების საკითხების გათვალისწინება არ ნიშნავს მხოლოდ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის გათვალისწინებას. უდავოა, რომ ეს კონვენცია ჟურნალისტს ისეთი საკითხების სპექტრს სთავაზობს, რომლებზეც იგი სიუჟეტებს მოიძიებს. იგი ასევე საშუალებას აძლევს ჟურნალისტებს, კონვენციის განხორციელების მონიტორინგი აწარმოონ, მაგალითად, გამოიძიონ, თუ როგორ ასრულებს ხელისუფლება კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ლექტორებმა შეიძლება მისცენ სტუდენტებს გამოგონილი ამბების მონახაზები მოკლე ჩანაწერის სახით და დააკვირდნენ, შეძლებენ თუ არა სტუდენტები სტატიების ისე დანერას, რომ მკითხველი დააინტერესონ.

სასწავლო მასალაში ჩამოთვლილია ინფორმაციის წყაროები და ორგანიზაციები. სტუდენტებმა უნდა სცადონ ასეთი სიის შედგენა თავიანთი ქვეყნისთვის.

სასარგებლო იქნება, რომ კლასმა შეადგინოს იმ ორგანიზაციებისა და ინდივიდების მონაცემთა ბაზა, რომლებიც სასარგებლო წყაროებად გამოდგებოდა ნებისმიერ ქვეყანაში. ასეთი სია შეიძლება მიენოდოს თითოეულ სტუდენტს და ამით გაუმჯობესდეს მათი, როგორც მოქმედი ჟურნალისტების, პროფესიონალიზმი.

5. ბავშვებისგან ინტერვიუს აღება

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- როგორ უნდა აიღოთ ინტერვიუ ბავშვებისგან?
- ბავშვისგან ინტერვიუს აღება მხოლოდ ბავშვზე პასუხისმგებელი ზრდასრული ადამიანის დასწრებით შეიძლება?
- როდის შეიძლება ბავშვისგან ინტერვიუს აღება მშობლის ან მეურვის დაუსწრებლად?
- საჭიროებს თუ არა ბავშვისგან ინტერვიუს აღება იმ უნარ-ჩვევებისგან განსხვავებულ უნარებს, რომლებიც ზრდასრულისგან ინტერვიუს აღებას სჭირდება?

სთხოვეთ ადგილობრივ ჟურნალისტს და ბავშვთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, მონაწილეობა მიიღონ მეცადინეობაში. ორივეს სთხოვეთ, ისაუბრონ ბავშვებზე, როგორც წყაროებზე, ბავშვებისგან ინტერვიუს აღებასა და თანხმობის მიღებაზე. ამ მეცადინეობაზე შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ჟურნალისტიკაში საზოგადოებრივი ინტერესის მნიშვნელობის განხილვა და შედარება იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციასთან, რომელიც მხოლოდ ბავშვის ინტერესებს ემსახურება.

კლასმა უნდა იმსჯელოს იმაზე, რომ შეიძლება ბავშვებს თავად ჰქონდეთ ისტორიები და გამოყენებულნი იყვნენ წყაროებად.

წამოიწყეთ კლასში დისკუსია ბავშვებისგან ინტერვიუს აღების სახელმძღვანელო პრინციპებზე და იმსჯელეთ, ეს პრინციპები ჟურნალისტებს ეხმარება თუ ხელს უშლის. არის თუ არა ისეთი შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი იძულებულია, იმუშაოს ამ პრინციპების დარღვევით?

ეს შესაძლებლობას იძლევა, გაიმართოს მსჯელობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა **გამოქვეყნებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია და ინფორმაცია, რომლის გამომზეურებაც წყაროს არ სურს, ანონიმური წყაროების გამოყენება და ინფორმაციის მოპოვება**, რაც წინა მოდულებში უნდა ყოფილიყო განხილული.

6. ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტში

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- ჯარისკაცი ბავშვების ისტორიები;
- კონტექსტი, ომი, სამოქალაქო არეულობა, სამოქალაქო საზოგადოების კოლაფსი;
- ჯარისკაცი ბავშვების თემის სენსაციურობა;
- უნარ-ჩვევების სხვა ამბებთან მიმართებით გამოყენება.

ეს არის ერთ-ერთი მთავარი და აქტუალური თემა, რომელიც წარმოაჩენს იმ პრობლემებს, რომლებსაც ჟურნალისტები აწყდებიან ბავშვებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებისას. შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს დისკუსიის არეალის გაფართოება და სხვა ამბების, განსაკუთრებით, მოცემულ ქვეყნაში აქტუალური ისეთი ამბების, როგორებიცაა ბავშვები სექს-ინდუსტრიაში, ბავშვების ტრეფიკინგი ან ნებისმიერი სხვა, განხილვა. ასევე შეიძლება მოსთხოვოთ სტუდენტებს, დაასახელონ წყაროები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთ-ერთი ასეთი ამბის გაშუქებისას.

აქ ორი საკითხი დგას: როგორ შევინარჩუნოთ ინტერესი მიმდინარე თემისადმი; როგორ გავაშუქოთ ამბავი სენსაციურობის გარეშე და ბავშვის კეთილდღეობის დაცვით.

7. სიცივის თავისუფლება ბავშვებს და ბავშვებზე ორიენტირებული მედია

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- ბავშვებისათვის მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- როგორ უზრუნველყოთ ბავშვის უფლება, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება მედიაში;
- საბავშვო მედია.

სთხოვეთ სტუდენტებს, მოიძიონ საბავშვო მედიასთან დაკავშირებული ამბავი და დაწერონ მასზე სტატია. თუ სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ინტერნეტზე, შეუძლიათ მოძებნონ რომელიმე საბავშვო რადიოსადგური მსოფლიოში.

აიღეთ ინტერვიუ ბავშვებისაგან რაიმე მნიშვნელოვან ახალ ამბავზე, რათა ნახოთ, განსხვავებული ხედვა ხომ არა აქვთ მათ და როგორია ეს ხედვა.

8. საუკეთესო ჟურნალისტური პრაქტიკა ბავშვებთან დაკავშირებით

ამ თავში შესასწავლი ძირითადი თემებია:

- ბავშვების შესახებ ახალი ამბების გაშუქების საუკეთესო პრაქტიკა;
- საბავშვო მედიის მონიტორინგი და შეფასება: პრესა, რადიო, ტელევიზია.

ბიბლიოგრაფია

- ARRC (1995) The Human Rights Pack. ARRC.
- DIT (2008) Enhancing Student Learning through Assessment. Dublin Institute of Technology (DIT)
- O'Neill, G. and McMahon, T. (2005) Student-centred Learning: What does it mean for Students and Lecturers?, in G. O'Neill, S. Moore and B. McMullin (eds.)
- *Emerging Issues in the Practice of University Learning and Teaching*, Dublin: All Ireland Society for Higher Education (AISHE)
- UCISA-TLIG (2004) VLEs and Blended Learning, A discussion paper based on TLIG meetings held during 2004, UCISA.
-
- UNESCO (2005) Revised draft plan of action for the first phase (2005-2007) of the World Programme for Human Rights Education. UNESCO, 2005
- Yeban, Felice (2002) Building a Culture of Human Rights: Challenge to Human Rights Education in 21st Century, ARRC.
- Yeban, Felice (1999) The Children's Rights Training Package, UNICEF HANOI.
- ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში — სახელმძღვანელო სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008 წელი
- ჟან-კლოდ ბერტრანი, მედიაეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები, ქართული გამოცემა 2004 წელი
- ბილ კოვანი, ჟურნალისტიკის ელემენტები

